№4 (9911) ◆ ივნისი, 2024 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ *გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან*

ძვირფასო მკითხველო!

იცით, რომ მუნიციპალიტეტის განვითარების ერთერთ ძირითად დოკუმენტად მიიჩნევა **პრიორიტეტის დოკუმენტი**, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიამ, 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, მოქალაქეთა წინადადებების მიღება უკვე დაიწყო.

პრიორიტეტების განსაზღვრა გულისხმობს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის საჭირო სხვა მნიშვნელოვანი პროგრამების ხელშეწყობას.

შეგახსენებთ: დოკუმენტის მომზადების პროცესში თქვენი აქტიური მონაწილეობა და პრიორიტეტების განსაზღვრაში უშუალო ჩართულობა აუცილებელი და მნიშვნელოვანია...

მიაწოდეთ მუნიციპალიტეტის მერიას თქვენი იდეები და ინიციატივები.

გაცნობითი შეხვედრა

სამხარეო ადმინისტრაციაში კორეის რესპუბლიკის საქმეთა დროებით რწმუნებულ **კიმ ტონგ ოპისთან** გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე განიხილულ იქნა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები და თანამშრომლობის პერსპექტივები.

მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ** სტუმარს მიაწოდა ინფორმაცია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონზე, მის პოტენციალზე სხვადასხვა მიმართულებით. ბატონმა კიმ ტონგ ოპიმ ვიზიტის შთაბეჭდილებების გაზიარებისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხარეს გააჩნია ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქრისტინა კობახიძე**, ადმინისტრაციის აპარატის უფროსი **მარიკა დვალი,** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე** და მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე**.

ინფრასტრუქტურული პროექტები და მონიტორინგი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, სხვადასხვა დარგებისა თუ სფეროების განვითარების მიზნით დაგეგმილი მასშტაბური საამშენებლო-სარეაბილიტაციო პროექტებიდან ძირითად პრიორიტეტად მაინც ინფრასტრუქტურის მოწყობა მიიჩნევა. წელს სხვადასხვა ფონდებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება 100-ზე მეტი პროექტი. მაგალითად რეგიონების განვითარების ფონდიდან დაფინანსებულია 15 ინფრასტრუქტურული პროექტი. მათგან გარდამავალი იყო და სრულდება სადმელის შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები და ქ.ამბროლაურში მდინარე კრიხულას სანაპიროზე, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული როლის გაზრდის მიზნით, მრავალფუნქციური ცენტრის მშენებლობა.

სასოფლო გზების რეაბილიტაციის პირველი რიგის სამუშაოები უკვე დასრულდა ზნაკვაში, სადაც დაიგო 1.3 კმ-მდე ბეტონის საფარი და სამუშაოების ღირებულებამ 424 000 ლარი შეადგინა. გრძელდება ახალსოფლის საუბნო გზის,კვაცხუთში ეკლესიასა და სასაფლაომდე მისასვლელი გზის, მეორე ტოლაში სკოლის უბნის გზის, თხმორის სასოფლო გზის მდ. შარეულასთან ქანობიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სხვა.

წელსვე სრულდება მთის განვითარების ფონდით დაფინანსებული სოფელ იწის შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტი იყო გარდამავალი და სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 1180000 ლარს.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საგრძნობლად გაზრდილია სტიქიის საპრევენციო ღონისძიებების დასაფინანსებელი თანხა და შესაბამისად, შესაძლებელი ხდება მეტი პროექტის განხორციელება, რომლებიც ძირითადად ითვალისწინებს იწაში საუბნო გზის,ნიკორწმინდაში კობახიძეების უბანში, ქ. ამბროლაურში აღმაშენებლისა და გოგებაშვილის ქუჩებზე საყრდენი კედლების, ქ. ამბროლაურში ჭიჭინაძის ქუჩაზე, ამბროლაური-ხიმშის გზის, ხოტევში მდინარე ხოტეურაზე, კლდისუბანში მდინარეებზე რიონსა და რიცეულაზე, ხვანჭკარაში ჭარბაძეების უბანში, ღვიარაში მდ. ღვიარულაზე ნაპირსამაგრების, სადმელში ენუქიძეების უბანში, ქ. ამბროლაურში ბრატისლავა რაჩის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობას, ქ. ამბროლაურში ჭავჭავაძის ქ. №1-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო და წესში მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირის სარეგულაციო სამუშაოების შესრულებას.

მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებითაა დაგეგმილი აგრეთვე სოფლის მხარდაჭერის პროგრამითა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელი პირებისა და პროფილური სამსახურების მხრიდან სისტემატიური ხასიათი აქვს მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესების მონიტორინგს, რაშიც აქტიურად უნდა ჩაერთოს მოსახლეობაც.

ინფორმაცია ინფორმაცია

* * *

გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 68-ე მორიგი სხდომა, რომელზედაც დეპუტატებმა მოისმინეს ინფორმაცია, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

ითქვა, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში ხორციელდება მოსახლეობის არჩევანით 65-ზე მეტი პროექტი, მაგრამ როგორც შესაბამისი სამსახურების ისე მოსახლეობის მხრიდან საჭიროა შესრულებული სამუშაოების ხარისხზე განსაკუთრებული კონტროლის დაწესება.

სხდომამ დაამტკიცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა.

შშმ პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით (14 ივნისი) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე**, რწმუნებულის აპარატის ხელმძღვანელი **მარიკა დვალი**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე** და მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **თამარ ქევანაშვილი** „მიდეა საქართველოს“ წარმომადგენელ **კახაბერ გაბრიჭიძესთან** ერთად სადმელის მრავალფუნქციურ ცენტრს ეწვივნენ. შეხვდნენ ბენეფიციარებს და მათ სხვადასხვა საჩუქრები გადასცეს.

„მიდეა საქართველოს“ წარმომადგენელმა მრავალფუნქციურ ცენტრს, რომელიც 2021 წლიდან ფუნქციონირებს, საჩუქრად გადასცა პლაზმური ტელევიზორი. კომპანიის სახელით გამოთქვა მზაობა, რომ სამხარეო ადმინისტრაციასთან და მუნიციპალიტეტთან ერთად აქტიურად ჩაერთვებიან ქველმოქმედებაში.

ცენტრის სტუმრებმა თანამშრომლებისგან მოისმინეს ინფორმაციები მიმდინარე საქმიანობის, არსებული საჭიროებებისა და სამომავლო აქტივობების შესახებ, დაათვალიერეს ბენეფიციართა მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები და ცენტრის ტერიტორიაზე არსებული ბიო სათბური, სადაც ბენეფიციარები ჩართულნი არიან ერგო-თერაპიაში.

***

იმავე დღეს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **თამარ ქევანაშვილი** ქალაქ ამბროლაურში არსებულ დღის ცენტრ „ბაოში“ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა, სადაც ცენტრის აღსაზრდელებს სასაჩუქრე პაკეტები გადასცა და მათთან ერთად სხვადასხვა სახის აქტივობებშიც ჩაერთო.

აღსანიშნავია, რომ შშმ ბავშვთა დღის ცენტრი, ქ. ამბროლაურში 2019 წლიდან ფუნქციონირებს. ზრუნავს ბენეფიციარების სოციალური უნარების განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას სოციუმში.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე** და მერის მოადგილე **თამარ ქევანაშვილი** მერიის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრებს შეხვდნენ და საჩუქრად კომპიუტერები, საოფისე ინვენტარი და ბრენდირებული საჩუქრები გადასცეს.

რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ახალგაზრდებთან ერთად იმყოფებოდნენ აგრეთვე ყოფილი „კინოთეატრის“ შენობაში, სადაც საბჭოს წევრების ინიციატივით ივლისის თვეში იგეგმება ფილმის ჩვენება. აღნიშნულთან დაკავშირებით ტექნიკურ გამართულობას და საზოგადოების ინფორმირებას მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს.

სამუშაო შეხვედრა

აბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში მორიგ სამუშაო შეხვედრაზე განხილულ იქნა სხვადასხვა მიმართულებით არსებული ვითარება და იმსჯელეს იმ კონკრეტულ საკითხებზე, რომლებიც შესაბამის ჩართულობას საჭიროებს.

სამუშაო შეხვედრაზე სამსახურების უფროსებმა განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ისაუბრეს და საკურატორო სფეროების მიხედვით კონკრეტული დავალებები მიიღეს.

გზა - სოფლის პროგრესი

ზედა ღვარდიელები სოფელთან დამაკავშირებელი, ციცაბო კლდეზე გამავალი, ერთადერთი და პრობლემატური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებას მიესალმებიან და პროგრესად მიიჩნევენ. თვლიან, რომ ესაა სოფლის შენარჩუნებისა და გაძლიერების გზაზე წინ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი. მადლიერებას გამოხატავენ კიდეც შესაბამისი სამინისტროს, სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირებისადმი. ამბობენ: კარგია, რომ გზა გაფართოვდა, მაგრამ ვშიშობთ ძალზე რთული მონაკვეთებია „ჯიხური“ და „დიდი მოსახვევი“ თუ დახრის კუთხე კიდევ არ დადაბლდა, შეიძლება გადაადგილება კვლავაც გაძნელდეს,კლდოვანი ქანისა და მიწას გაყოლილმა ქვებმა არ გვინდა დაზიანოს ხევის ტყის საფარი. მოსახვევის აღმართში სასურველია დაემატოს დამცავი ფილები, ასევე დამცავი ზოლი გაკეთდეს მთლიანად და მყარად...

ზემო ღვარდიელებმა გულახდილად განაცხადეს: მადლიერები ნამდვილად ვართ, მაგრამ ჩვენ ხომ სპეციალისტები არ ვართ და ე.წ „კარისის“ პროექტს ვერ წავიკითხავთ. იხარჯება დიდი თანხა და გვინდა შედეგიც იყოს სასურველი. ცხოვრებისეული დაკვირვება-გამოცდილებიდან გამომდინარე ვახმოვანებთ მოსაზრებას და ვფიქრობთ, ამის უფლება გვაქვსო.

რა თქმა უნდა, აქვთ და უსმენენ კიდეც. ამჯერად გაზეთის საშუალებით ვაფიქსირებთ პროფილური სამსახურიდან მიღებულ პასუხს.

– გზის მშენებლობა მისი რთული რელიეფური მდებარეობისა და სპეციფიკიდან გამომდინარე სწრაფად არ დაგვიწყია. ესაა ექსპერტებთან, პროფესიონალ მშენებლებთან და ადგილობრივებთან ერთად წლების მანძილზე ნაფიქრ-ნამსჯელი და დღეს სახელმწიფოს დახმარებით მიღებული გადაწყვეტილება.



პროექტი გარდამავალია. პირველი ეტაპზე ხორციელდება გაფართოებითი სამუშაოები და აღსანიშნავია, რომ გრუნტის მოჭრაზე იმუშავა ძლიერმა კომპანიამ. მონიტორინგი უწვეტად მიმდინარეობს. წინ მეორე ეტაპია და საჭიროების შემთხვევაში იქნება შეტანილი კორექტივები.

ადგილობრივები საქმის კურსში არიან. მათთვის კეთდება და კარგია, კრიტიკული თვალით რომ აკვირდებიან იმ გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო პროცესებს, რომელმაც უახლოეს მომავალში უნდა გაამართლოს სოფელში ოჯახების დაბრუნების ტენდეცია.

რეალისტი

რამდენადაც ვიცით ქვეყანაში მეღორეობის მიმართულებით მცირე ფერმერული მეურნეობების განვითარება მსოფლიოში აპრობირებული თანამედროვე ჯიშებისა და შეჯვარების სქემის გამოყენებით ხდება. არ ვიცით თავიდან რით იხელმძღვანელა გაღმა ბარეულში მამაპაპისეულ ფუძეზე დამკვიდრებულმა **გიორგი სოხაძემ**, მაგრამ ფაქტია, რომ წლების წინ ძმის დაწყებული საქმე სოფლის, კუთხის გულშემატკივარის პოზიციიდან გაანალიზებული ეფექტური ვარიანტით – რაჭული ენდემური ღორის მოშენება-პოპულარიზაციით გააგრძელა.

თვითონვე გვითხრა: ქვეყანაში ღორის ადგილობრივი პოპულაციებიდან უძველესი დროიდანვეა ცნობილი რაჭული. დღემდე ხომ ტრადიციებმა მოგვიყვანა. რეალისტი ვარ, რესურსი არის, ჰო და ბიოლოგიური სოფელი მინდა გვქონდეს. ამჟამად 38 სული ღორი მყავს. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ კვებას. ტყის ბუნებრივ საკვებ – საშუალებების ათვისებასთან ერთად ხელსაყრელი ბუნებრივი კლიმატური პირობები ხელს მიწყობს ღორის შებოლილი ხორცის საგემოვნო თვისებების შენარჩუნებაში. ბაზარზე მოთხოვნა დიდია და პროდუქციის რეალიზაცია პრობლემა არაა. ე.ი კონკურენტებიც არა მყავს. არც არავის ვაწუხებ და ნურც მე შემაწუხებენ. მოკლედ ვეწევი ქართული ღორის პოპულარიზაციას.

ხანმოკლე იყო ჩვენი საუბარი. დიუმასეული ფრაზა „ფული არის კარგი მსახური, მაგრამ ცუდი ბატონი“ მაინც გვენიშნა... თუმცა გვესიამოვნა, რომ ქალაქის სმოგს, გამუქებულ ცხოვრებას გამორიდებული ახალგაზრდა გაფილტრულ სამეგობროსთან ერთად გაღმა ბარეულში თავს გრძნობს იმ სამოთხეში, სადაც ბუნება და ღმერთია.

კულტურა, ხელოვნება, სხვადასხვა

ივნისი კულტურული და სპორტული ღონისძიებებით დატვირთული აღმოჩნდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამხარეო ადმინისტრაციისა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, ახალგაზრდობის ინტერესების გათვალისწინებით, კულტურული თუ სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით და აღნიშნული სფეროების განვითარებისათვის გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯებს შედეგებიც ახლავს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხელმძღვანელი პირები, პროფილური სამსახურების წარმომადგენლები ყველა ღონისძიებებსა თუ შეჯიბრებებზე უშუალო ჩართულობა-დასწრებით მიანიშნებენ ახალგაზრდობას, რომ ყოველგვარ კარგ წამოწყებაში მათ გვერდით არიან და მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება. შესაბამისად მათი ქმედება უნდა იყოს პასუხისმგებლიანი, ადეკვატური ქმედებებითა და ჯანსაღი ცხოვრების წესით.

ივნისის თვის კალენდარი საფრანგეთში **ლევილის ქართველთა მამულში** გამართული ფესტვალით გვინდა დავიწყოთ. ფესტივალი, რომელიც „პატარა საქართველოში“ ტრადიციული ხდება და ფაქტიურად, მსმენელისა თუ მაყურებლის ფართო აუდიტორიას ახსენებს საქართველოს კულტურის, ხელოვნების, სპორტის მდიდარ ისტორიას.

წელს ფესტივალზე 700-მდე მონაწილეთა შორის ჩვენი კუთხე ანსამბლით „საგალობელი“ იყო წარმოდგენილი, ემიგრამტებს და ფრანგებს შესრულების მაღალი ოსტატობით დიდი სიამოვნება მიანიჭეს.

ჩვენებურებს ქართული კულტურის კერაზე საფრანგეთში ახლდათ მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქრისტინე კობახიძე**.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქმედმა 13 სკოლამდელმა სააღმზრდელო დაწესებულებამ 320 აღსაზრდელი საზაფხულო არდადეგებზე საზეიმო ვითარებაში გააცილა. ეს დღე აღმზრდელებმა მშობლებთან ერთად განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი გახადეს იმ 87 აღსაზრდელისათვის, რომლებიც სექტემბერში პირველ კლასში შესასვლელად ემზადებიან.

ქალაქ ამბროლაურის საბავშვო ბაღში უფროსი ჯგუფის გამოსაშვებ ღონისძიებას, რომელზეც პატარებმა საინტერესო მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები წარმოადგინეს, საპატიო სტუმრებიც ჰყავდათ.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ასლან საგანელიძემ**, მერის პირველმა მოადგილემ **დავით გოგლიძემ**, მოადგილე **თამარ ქევანაშვილმა** პატარებს მიულოცეს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა და ყველა აღსაზრდელს ქვეყნის მასშტაბით უსურვეს მშვიდობიანი ცის ქვეშ ბედნიერი მომავალი.

***

პირველ ივნისს, მსოფლიო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებთან ერთად, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის, დღის ცენტრი „ბაოს“ და რამდენიმე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს მიულოცეს ბავშვთა დაცვის დღე, გადასცეს სასაჩუქრე პაკეტები, უსურვეს ბედნიერი და წარმატებული მომავალი.

***

12 ივნისს აღინიშნა მეხანძრე – მაშველის დღე. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციამ და ადგილობრივმა თვითმმართველობამ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თითოეულ თანამშრომელს მიულოცეს პროფესიული დღე, უსურვეს მშვიდობიანი საქმიანობა და თავდაუზოგავი საქმიანობისათვის გადაუხადეს მადლობა.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ორგანიზებით ხვანჭკარაში და სადმელში სამედიცინო აქცია გაიმართა, რომლის ფარგლებში საქართველოს წითელი ჯვრის დედოფლისწყაროს ფილიალის კლინიკის ხვადასხვა პროფილის ექიმებმა (რადიოლოგი, ოფთალმოლოგი, ოჯახის ექიმი, კარდიოლოგი) ადგილობრივ მოსახლეობას უფასო სამედიცინო კონსულტაციები და საჭირო დიაგნოსტიკური კვლევები ჩაუტარეს.

სამედიცინო აქციის მიმდინარეობას ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **თამარ ქევანაშვილი** ადგილზე გაეცნო.

* * *

დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლის ორგანიზებითა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გამართულმა ფესტივალმა „სახიობა რაჭაში – 2024“ ორგანიზებულობითა და მასშტაბურობით ამჯერადაც მოლოდინს გადააჭარბა.

ფესტივალს, რომელშიც მონაწილეობდნენ ქვეყნის 18 მუნიციპალიტეტიდან ფოლკლორული, საესტრადო, ქორეოგრაფიული და საგუნდო ანსამბლები, ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე** და მოადგილე **თამარ ქევანაშვილი**.

გამოფენა

ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლაში, მოსწავლეთა ნამუშევრების შემაჯამებელი გამოფენა გაიმართა.

დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა სხვადასხვა ჟანრში შესრულებული ნახატები, თექის, ტიხრული მინანქრის, ხალიჩა-ფარდაგების, ხატწერის ნამუშევრები ეხილა და სამხატვრო სკოლის მიერ განხორციელებულ აქტივობებს გასცნობოდა.

აღსანიშნავია, რომ სკოლის რვა კურსდამთავრებულთაგან ორი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში აპირებს სწავლის გაგრძელებას სხვადასხვა მიმართულებებით.

შემაჯამებელ გამოფენას ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **თამარ ქევანაშვილი** და სხვადასხვა სფეროდან მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

თვის სპორტული კალენდარი შედეგებითა და სახეობათა მრავალფეროვნებით ასეთია:

კარატე

იტალიის დედაქალაქ რომში გამართულ კუდოს ევროპის 2024 წლის ჩემპიონატიდან (16 წლამდელთა შორის) ამბროლაურის სასპორტო სკოლის კარატეს გუნდის წევრები **ვასილ დვალაძე** და **ლუკა ნასარიძე** ჩემპიონები დაგვიბრუნდნენ. ვასილმა მესამედ მოიპოვა ჩეპიონის ტიტული, ლუკამ პირველად, თუმცა 2022 წლის ჩემპიონატზე ის ვიცეჩემპიონი გახდა. ვულოცავთ მათ და მწვრთნელს **დავით დუშუაშვილს**.

ისტორიული დებიუტი

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა თავის პირველ ევროპის ჩემპიონატში ასპარეზობა ესპანეთის წინააღმდეგ მეერვედფინალურ ეტაპზე დაასრულა, მაგრამ დებიუტით ქვეყნის ისტორია ნამდვილად დაწერა.

მილიონობით გულშემატკივართა შორის იყვნენ ამბროლაურელებიც სტუმრებთან ერთად, რომელთაც სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით შესაძლებლობა ჰქონდათ სასპორტო დარბაზში თვალი ედევნებინათ მატჩების პირდაპირი ტრანსლიაციისათვის და ბედნიერებს ეცხოვრათ ეს დღეები ფეხბურთით.

მადლობა ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს ღირსეული თამაშისათვის!

რაგბი

დიდი ხანი არაა რაც რაგბის პოპულარიზაციის მიზნით ცნობილი ბიზნესმენების, სამხარეო ადმინისტრაციის და ადგილობრივი თვითმმართველობების მხარდაჭერით დაფუძნდა სარაგბო კლუბი „ამარატები“, რომელმაც ქ. ონში უმასპინძლა 2013–2014 წლებში დაბადებულ ბავშვთა სარაგბო გუნდების ფესტივალს. რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან შეჯიბრში 16 გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომელსაც ესწრებოდა რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე**, ადგილობრივი თვითმმართველობების ხელმძღვანელებთან, სტუმრებთან და ცნობილ მორაგბეებთან ერთად.

მაგიდის ჩოგბურთი

ქვეყნის 12 ქალაქის გოგონათა და ვაჟთა გუნდმა მიიღო მონაწილეობა მაგიდის ჩოგბურთში რაჭის ღია პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში. 107 სპორტსმენი U11, №13, U15 და U17 ასაკობრივ კატეგორიაში ცდიდა ძალებს. მომზადების მაღალი დონე აჩვენეს ამბროლაურის სასპორტო სკოლის წარმომადგენლებმა **ნინი, დავით, რეზი, საბა კობახიძეებმა** და **ანი მეტონიძემ**. თავიანთ ასაკობრივ კატეგორიებში მათ ანგარიშზეა ორი მეორე და ოთხი მესამე ადგილი.

გამარჯვებულებსა და მონაწილეებს გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

შეჯიბრს ესწრებოდა წარმომადგენლებთან ერთად მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **თამარ ქევანაშვილი**.

ველორბოლა

წლევანდელი ველომარათონში, რომლის სლოგანი იყო „შემოვუარ-ოთ რაჭას“ მონაწილეობა მიიღეს, როგორც მოყვარულებმა, ასევე პროფესიონალმა სპორტსმენებმა – ჯამში ასამდე ადამიანმა.

წარმოდგენილი სამი მარშრუტიდან – 10 კმ, 20 კმ და 60 კმ. თითოეულმა მონაწილემ ინდივიდუალურად შეარჩია დისტანცია. პროფესიონალები ძალებს ცდიდნენ 60 კილომეტრიან დისტანციაზე, მოყვარულები 20 კმ-ზე, ხოლო ბავშვები (13+) 10 კმ-ზე.

სამივე კატეგორიაში დაწესებული იყო ფულადი ჯიდლოები. ყველაზე გრძელი, დისტანციის პირველ ადგილოსანმა მიიღო ფულადი პრიზი. შესაბამისი აღჭურვილობით დაცული იყო ველოფესტივალის მონაწილეთა უსაფრთხოების წესები. მარათონის ფარგლებში მათ სამსახურში იყო სპეციალურად მოწყობილი გასართობი, საკვები, დასასვენებელი სივრცეები და სხვა აქტივობები. დღე დააგვირგვინა მუსიკალურმა საღამომ.

ველომარათონი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების, სპორტის ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის, აგრეთვე კერძო კომპანიების მხარდაჭერით ჩატარდა.

სტრონგი

დიახ, ამბროლაურელებს ძალოსნობის სპორტის ამ სახეობაში ჩვენებური სტრონგსმენიც გვყავს. ეს წესელი, მეორე საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, 22 წლის **შოთა (შოთი) გოგობერიშვილია**. თავიდან თანატოლების მსგავსად ჭიდაობითა და ფეხბურთით იყო გატაცებული. მოპოვებული შედეგების მიხედვით მწვრთნელები სერიოზულ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ 17 წლის ასაკში მიხვდა, სიმძიმეებთან გაწევა-აწევასთან ჭიდილს უფროსები ბავშვურ გატაცებად რომ უთვლიდნენ, მისი მოწოდება იყო. ინტერესი, არჩევანი იმანაც გაამყარა, რომ სპორტის ეს სახეობა ის ის იყო მკვიდრდებოდა საქართველოში და ახალგაზრდებში ინტერესმა იმატა, ერთმანეთთან სოცქსელით აზრთა გაცვლა-გამოცვლით იხვეწებოდა და არჩევანის სისწორეში საბოლოოდ დარწმუნდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა 2021 წლის სატელევიზიო შოუში „ნიჭიერი“ იხილა ქვეყანაში, თამამად შეიძლება ითქვას, სპორტის ამ სახეობის ფუძემდებლის კოტე ჯანაშიას გამოსვლა. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტობის პერიოდში, მისი უფრო გართობის მიზნით გავრცელებული ვიდეოები, შეუმჩნეველი არ დარჩენია ჯანაშიას. დაუკავშირდა და მისი სახით დღეს მას კარგი დამრიგებელი ჰყავს. მართალია, ამჟამად შოთი სწავლას თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში აგრძელებს, მაგრამ ონლაინ რეჟიმში მწვრთნელისა და შეგირდის ვარჯიშები არ წყდება. უკვე მსაჯის წოდებაც აქვს და რაც მთავარია, შედეგი არის. ახლახან სომხეთის დედაქალაქ ერევანში გამართულ ევროპის ჩემპიონატიდან იგი ვერცხლის მედლით დაგვიბრუნდა. ამით ბედნიერი წუთები აჩუქა გულშემატკივრებს, ოჯახს, რომლის მხარდაჭერა ყოველთვის დიდი სტიმულია მისთვის.

წარმატებებს ვუსურვებთ შოთის სპორტულ სარბიელზეც და პირად ცხოვრებაში.

რედაქტორი
დალი დარახველიძე

რედაქციის მისამართი:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაჟური ჯილაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.